



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების  
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 2 22 0000550184



27/05/2022

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი)“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**


1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი) /01350/ (დანართი).

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 27 მაისის №549118 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ზაქარეიშვილი მარიკა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გამყრელიძე გიორგი



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01350	ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ლუმელების მონტაჟი)	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	5	ქართული	10	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36